ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

29 მარტი, 2010 წ.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

შესავალი

2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გამოყოფილი თანხების უპრეცედენტო ზრდა აღინიშნა. თვითმმართველობებისთვის გათვალისწინებული ტრანსფერების საერთო მოცულობამ წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 34%-ით იმატა. ამავე დროს, საგრძნობლად გაიზარდა თბილისის მერიის მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა და მხარეების რწმუნებულთა აპარატებში დასაქმებულთა რაოდენობა. ამ ცვლილებებით გამოწვეული სახელფასო ფონდების ზრდა წინააღმდეგობაში მოდის პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გამოცხადებულ ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების პოლიტიკასთან. ამ მიდგომის ოპონენტების ვარაუდით, ადგილი აქვს სახელმწიფო სახსრების გამოყენებას იმ ადამიანების დასასაქმებლად, რომლებიც მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში მიიღებენ მონაწილეობას.

მთავრობამ აგრეთვე გააორმაგა სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამისათვის გამოყოფილი თანხა, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიება, კანონის თანახმად, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან უნდა დაფინანსდეს.

თბილისის მერია აფინანსებს დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერებისთვის პენსიის 10 ლარით გაზრდას. ეს ნაბიჯი კანონს ეწინააღმდეგება (რადგანაც საპენსიო პოლიტიკა თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება) და ამავდროულად დისკრიმინაციულია საქართველოს სხვა რაიონებში მცხოვრები პირების მიმართ. გარდა ამისა, თბილისის მერია პენსიონერებს მედიკამენტების შესაძენად ვაუჩერებს ურიგებს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროგრამები 2006 წლის ადგილობრივი არჩევნებისა და 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროსაც განხორციელდა, მაგრამ არ განხორციელებულა 2007 და 2009 წლებში, როდესაც არჩევნები არ იმართებოდა. ამასთან, მმართველი პარტიის წარმომადგენლები ხშირად აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამების განხორციელებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" განაგრძობს საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მონიტორინგს. მომდევნო ანგარიშებში განხილული იქნება მარეგულირებელი, ინსტიტუციონალური და ხისტი რესურსების გამოყენება. ასევე, ფინანსური ხარჯვის ნაწილში ყურადღებას მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯვას დავუთმობთ.

I ანგარიში: სახელმწიფო ფინანსების ხარჯვა წინასაარჩევნო კამპანიისთვის[1]

სახელმწიფო ფინანსების წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების მაგალითებია:

- *წინასაარჩევნო პერიოდში წინასწარ დაუგეგმავი სოციალური დახმარებების, მ.შ პენსიების გაზრდა და საჯარო მოხელეთა ხელფასების მატება, ასევე სხვა სახის სოციალური პროგრამების ინიცირება (სტუდენტური გრანტების გაზრდა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაიაფება, უფასო სამედიცინო პროექტები, სუბსიდიები გაზზე, ელექტროენერგიაზე, მედიკამენტებზე და ა.შ.);*
- *წინასაარჩევნო პერიოდში წინასწარ დაუგეგმავი ისეთი სამშენებლო პროექტების წამოწყება, როგორიცაა სახელმწიფო ან მუნიციპალური შენობა-ნაგებობების, სამედიცინო დაწესებულებების, სკოლების, პარკების, გზების აღდგენა-შეკეთება და ა.შ.;*

[1] წინამდებარე ანგარიში 2010 წლის სახელმწიფო და ქ. თბილისის ბიუჯეტების ხარჯვის ძირითად მიმართულებებს მიმოიხილავს. შემდეგ ანგარიშში უფრო დეტალურად იქნება განხილული როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის და დედაქალაქის, ასევე სხვა თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები და მათი ხარჯვის ტენდენციები.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

- *სახელმწიფო ან მუნიციპალური რესურსების გამოყენებით მმართველი პარტიის ან/და არჩევნებში მონაწილე მისი ცალკეული წარმომადგენლის წარმოჩენა, ხელისუფლების საქმიანობის შესახებ გაზრდილი რეკლამირების გზით*[2].

(1) <u>სახელმწიფო ბიუჯეტებიდან ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებისთვის გამოყოფილი ტრანსფერები</u>

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, 2009 წლის ბიუჯეტთან, შედარებით მხოლოდ 0,9%-ით გაიზარდა, თუმცა, საბიუჯეტო პრიორიტეტები არსებითად შეიცვალა: გაიზარდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების, ეკონომიკური საქმიანობის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხარჯები და შემცირდა სხვა სფეროების დაფინანსება.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2009-2010 წლებში, ათასი ლარი[3]

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მუხლი	2009 წ.	2010 წ.	ზრდა/შემცირება	
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,564,029.8	1,657,915.5	93,885.7	6.0%
თავდაცვა	870,495.0	748,301.0	-122,194.0	-14.0%
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	838,135.3	781,281.1	-56,854.2	-6.8%
ეკონომიკური საქმიანობა	780,462.3	930,532.8	150,070.5	19.2%
გარემოს დაცვა	30,024.2	21,217.8	-8,806.4	-29.3%
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	12,524.9	8,723.3	-3,801.6	-30.4%
ჯანმრთელობის დაცვა	372,791.4	415,337.5	42,546.1	11.4%
დასვენება, კულტურა და რელიგია	133,492.8	124,248.5	-9,244.3	-6.9%
განათლება	484,559.0	528,687.3	44,128.3	9.1%
სოციუალური დაცვა	1,326,478.5	1,257,110.3	-69,368.2	-5.2%
სულ:	**6,412,993.2**	**6,473,355.1**	**60,361.9**	**0.9%**

2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკებისთვის და ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, ტრანსფერების სახით, 836,9 მლნ. ლარია გათვალისწინებული, რაც წინა წლის ტრანსფერებს 214,4 მლნ. ლარით (34%-ით) აღემატება. ამ მოცულობის ტრანსფერები თვითმმართველობებს მთელი არსებობის მანძილზე არ მიუღიათ. ასევე უპრეცედენტოა თბილისისთვის გამოყოფილი ტრანსფერი და მთლიანად თბილისის წლევანდელი ბიუჯეტი. თბილისმა, გამოთანაბრებითი ტრანსფერის სახით, წელს 323 მლნ. ლარი მიიღო. ეს თანხა ყველა თვითმმართველობებისათვის გათვალისწინებული გამოთანაბრებითი ტრანსფერების 61,8%-ს შეადგენს. საერთო ჯამში დედაქალაქის ბიუჯეტი 2010 წელს 570,8 მლნ. ლარია.

[2] მაგალითები ძირითადად გამოყენებულია სახელმძღვანელოდან „ღია საზოგადოება – სამართლიანობის ინიციატივა „საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგი: სახელმძღვანელო არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“.
[3] „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

(2) თბილისის ბიუჯეტის ხარჯები

თბილისის 2010 წლის თავდაპირველი, 2009 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული, ბიუჯეტის ხარჯები უფრო ნაკლები იყო. 2010 წლის 22 თებერვალს ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა და ხარჯები 58,1 მლნ. ლარით გაიზარდა[4]. ამ ცვლილებების საფუძველზე მერიის მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა 410-ით გაიზარდა, ხოლო სახელფასო ფონდი – 5,5 მლნ. ლარით. ასევე გაიზარდა საქონლისა და მომსახურების შესაძენად გასაწევი ხარჯების მოცულობა 34,2 მლნ. ლარით და სოციალური უზრუნველყოფა – 63,1 მლნ. ლარით.

ქ. თბილისის 2008-2009 წლების ბიუჯეტების ხარჯები, 2010 წლის თავდაპირველი ბიუჯეტი და მასში 22 თებერვალს განხორციელებული ცვლილებები[5]

ხარჯის სახეობა	2008 წ.	2009 წ.	2010 წ. თავდაპირვ.	2010 წ. თებ. ცვლილებებით
მომუშავეთა რიცხოვნობა	1 207,0	1 320,0	1 597,0	1 730,0
ხარჯები	396 610,1	487 009,3	512 680,5	570 820,7
მ.შ. შრომის ანაზღაურება	20 766,6	28 379,8	33 845,3	33 845,3
საქონელი და მომსახურება	130 926,4	126 995,4	160 654,8	161 157,2
პროცენტი	2 605,9	2 417,1	2 052,3	2 052,3
სუბსიდიები	36 190,4	42 242,5	49 813,0	49 933,0
სოციალური უზრუნველყოფა	54 848,7	58 461,3	117 792,4	121 592,4
სხვა ხარჯები	151 272,0	228 243,6	148 522,7	202 240,5

(3) სოფლის მხარდაჭერის პროგრამები

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, წინა წელთან შედარებით, სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება გაორმაგდა და შარშანდელი 20 მლნ. ლარის ნაცვლად, 40 მლნ. ლარით განისაზღვრა[6]. შედეგად, 2010 წლის 13 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო №41 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ეს თანხა სხვადასხვა რეგიონებზე განაწილდა. ამავე განკარგულებით, სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე დროში შესრულების უზრუნველსაყოფად, მთავრობამ ადგილობრივ თვითმმართველობებს დაუდგინა, რომ შესაბამისი სამუშაოები ერთ პირთან მოლაპარაკების წესით შეესყიდათ.

[4] ქ. თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 28 დეკემბრის №15-37 და 2010 წლის 22 თებერვლის №2-10 გადაწყვეტილებები, http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174

[5] ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი.

[6] საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, ორგანიზაციული კოდი 50 09, www.mof.ge.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ჩვეულებრივ, ,,სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ადგილობრივი ინფრასტრუქტურული და სოფლის სხვა ყოფითი პრობლემების მოგვარება ფინანსდება. ასეთი სამუშაოები, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ სამუშაოების შესყიდვა უფრო კონკურენტული, ღია ტენდერების საფუძველზე ხდებოდეს. გასულ, არასაარჩევნო წელს მთავრობას ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის შესყიდვების ერთ პირთან მოლაპარაკების გზით განხორციელება არ დაუვალებია[7]. აღნიშნული სამუშაოების ამ სახით განხორციელება საფუძვლიან ეჭვს ბადებს იმის შესახებ, რომ შესაძლოა ასეთი დაჩქარებული ღონისძიებები ამ სამუშაოების მაისის არჩევნებამდე მოსწრებასთან იყოს დაკავშირებული.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 91 მლნ. ლარის ოდენობით განისაზღვრა. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №40 განკარგულებით, აღნიშნული ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველობებისთვის 66 მლნ. ლარი გამოიყო. გამოყოფილი დაფინანსება თვითმმართველობებში ისეთი ღონისძიებების დაფინანსებას უნდა მოხმარდეს, როგორიცაა:

- სოფლის გზების რეაბილიტაცია;
- გარე განათების და ტროტუარების მოწესრიგება;
- სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა;
- წყლის და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;
- მრავალბინიანი სახლების სახურავების და ლიფტების შეკეთება;
- სპორტული მოედნების მოწყობა;
- სკოლისგარეშე დაწესებულებების რეაბილიტაცია;
- სხვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები.

მსგავსი ღონისძიებების უმეტესობის დაფინანსება, საქართველოს კანონმდებლობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება და მათთვის ადგილობრივ თვითმმართველობებს თავიანთ ბიუჯეტში უნდა გააჩნდეთ სახსრები.

(4) <u>სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციების ხარჯების ზრდა</u>

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციების ხარჯები. ხარჯების ზრდა, ძირითადად, მხარეების რწმუნებულების აპარატებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას უკავშირდება, რის გამოც სახელფასო ფონდის მოცულობამაც მოიმატა.

[7] ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 20 იანვრის №35 განკარგულება.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის და სახელფასო ხარჯების ზრდა, ათასი ლარი*[8]

მხარის დასახელება	2009 წ.	2010 წ.	ზრდა	ზრდა, %
სამეგრელო-ზემო სვანეთი	28 456,9	50 575,2	22 118,3	44,0 20,6
გურია	21 386,9	43 512,3	22 125,4	51,2 24,5
იმერეთი	28 456,9	50 575,2	22 118,3	44,0 20,6
კახეთი	28 456,9	50 575,2	22 118,3	44,0 20,6
მცხეთა-მთიანეთი	21 387,0	43 491,0	22 104,0	51,2 21,2
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	21 387,0	43 512,3	22 125,3	51,2 24,5
სამცხე-ჯავახეთი	21 387,0	43 512,3	22 125,3	51,2 24,5
ქვემო ქართლი	28 456,9	50 575,2	22 118,3	44,0 20,6
შიდა ქართლი	21 386,9	43 512,2	22 125,3	51,2 24,5
სულ:	**217 3 762,4**	**415 4 840,9**	**198 1 078,5**	**47,7 20,3**

* ცხრილში პირველი (ზედა) რიცხვი გვიჩვენებს დასაქმებულთა რაოდენობას, ხოლო მეორე (ქვედა) – შრომის ანაზღაურების მოცულობას.

ცვლილებას საფუძვლად საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 20 იანვრის №44 ბრძანებულება დაედო. ბრძანებულების სახელწოდებაა „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საშტატო განრიგისა და მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 27 ივლისის №454 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“. მის საფუძველზე საშტატო რიცხოვნობის შემდეგი პრინციპით შეიცვალა:

- საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ექვსზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 50 ერთეულით, ნაცვლად ადრე არსებული 28 ერთეულისა;

[8] საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

- საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის, რომლის სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ექვსი და ექვსზე ნაკლები თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებს, ადმინისტრაციის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 43 ერთეულით, ნაცვლად ადრე არსებული 21 ერთეულისა.

შედეგად, საქართველოს ყველა მხარეში საშტატო რიცხოვნობამ 22 საშტატო ერთეულით მოიმატა. ამ ცვლილების პარალელურად, საქართველოს პრეზიდენტის იმავე დღის – 2010 წლის 20 იანვრის №43 ბრძანებულების შესაბამისად, შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურები. სავარაუდოდ, შტატების ზრდა აღნიშნული სამსახურების შექმნას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ სახანძრო და სხვა საგანგებო სიტუაციების მართვა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და მათ ამისთვის შესაბამისი სამსახურებიც ჰყავთ.

ეს ცვლილება წინააღდმეგობაში მოდის საქართველოს პრეზიდენტის მიერ არა ერთხელ გახმოვანებულ ინიციატივასთან ე.წ. „ქამრების შემოჭრის“ პოლიტიკისა და ბიუროკრატიული აპარატის შემცირების შესახებ[9], რაც ადმინისტრაციული ხარჯების, მათ შორის, საშტატო რიცხოვნობისა და სახელფასო ფონდის, ოპტიმიზაციას გულისხმობდა.

ზემოთ აღნიშნული ინიციატივის ოპონენტები ამ ცვლილებებს მაისის არჩევნებს უკავშირებენ. მათი აზრით, ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებით იმ დამატებითი ადამიანური რესურსის დასაქმებას ახდენს, რომელიც მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში იქნება ჩართული.

(5) <u>სოციალური პროგრამების დაფინანსება</u>

თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2010 წლის პირველი მარტიდან დედაქალაქში რეგისტრირებული პენსიონერების პენსიები 10-ლარით გაიზარდა. ეს დანამატი თბილისის მერიის ბიუჯეტიდან ფინანსდება, რისთვისაც მთლიანად 19,9 მლნ. ლარია გამოყოფილი[10]. სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებში მსგავსი ინიციატივები არ გამოვლენილა.

მერიის ეს გადაწყვეტილება, მხრივ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (რომლის საფუძველზეც საპენსიო პოლიტიკა თვითმმართველობის კომპეტენციას არ განეკუთვნება) ეწინააღმდეგება და მეორე მხრივ, სხვა პენსიონერების მიმართ დისკრიმინაციულია.

[9] გაზეთი „ახალი თაობა“, 13 თებერვალი, 2009 წ.
[10] www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5056

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ანალოგიურად მოიქცა თბილისის მერია 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინაპერიოდშიც. მაშინ თბილისში რეგისტრირებული პენსიონერების პენსია, მერიის ინიციატივით და მისი ფინანსური მხარდაჭერით, 5 ლარით გაიზარდა.

თბილისის მერიის კიდევ ერთი ახალი დადგენილებით, დედაქალაქში მცხოვრებ 167 271 პენსიონერს სატრანსპორტო პერსონალური ბარათი დაურიგდება, რაც მათ საშუალებას მისცემს საზოგადოებრივი ტრანსპორტით – მეტროთი და ავტობუსით – შეღავათიან ფასად იმგზავრონ. ბიუჯეტიდან ამისთვის 3,5 მლნ ლარი გამოიყოფა.

გარდა ამისა, მერიის ინიციატივით, ყველა კატეგორიის პენსიონერს მედიკამენტების შესაძენად 25 ლარიანი ვაუჩერი გადაეცემა, რაზეც დედაქალაქის ბიუჯეტიდან 4 მლნ. ლარი დაიხარჯება. მედიკამენტებისთვის ვაუჩერები პენსიონერებს 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინაც დაურიგდათ. 2007 და 2009 წლებში მსგავსი ვაუჩერები არ ყოფილა.

ყველა პენსიონერისთვის, იმის მიუხედავად, თუ რა შემოსავალი აქვთ მათ ოჯახებს, ამ ტიპის სოციალური დახმარებების გაწევა საქართველოს ხელისუფლების მიერ 2006 წელს განხორციელებულ სოციალური დახმარების რეფორმას ეწინააღმდეგება. რეფორმის საფუძველზე სოციალური დახმარების გაცემის კრიტერიუმად არა ცალკეული კატეგორიები, მაგალითად, პენსიონერები, მარტოხელა დედები, უნარშეზღუდული პირები, ომის ვეტერანები და ა.შ. განისაზღვრა (როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო), არამედ ის, თუ რამდენად უჭირდათ ოჯახებს და რამდენად აუცილებელი იყო მათთვის სახელმწიფოს დახმარება (იმის მიუხედავად, იყვნენ თუ არა მათ წევრებს შორის ომის ვეტერანები, პენსიონერები და ა.შ.). სოციალური დახმარების ეს სისტემა დღესაც მოქმედებს და მის მთავარ პრინციპს – დახმარების საჭიროების და არა კატეგორიების საფუძვლეზე გაცემას – როგორც ხელისუფლებაში, ისე მის გარეთ დღესაც ბევრი მომხრე ჰყავს. ამის მიუხედავად, თბილისის მერია ახორციელებს სოციალურ პროგრამებს, რომლებიც სოციალური დახმარების სახელმწიფო სისტემის ჩარჩოებში არ ჯდება და ამის შესახებ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შენიშვნები არ გამოითქმის.

(6) <u>საჯარო მოხელეების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში</u>

როგორც 2006 წლის თვითმმართველობის და 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს, მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო და თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან დაფინანსებული სოციალური და ჯანდაცვითი ღონისძიებების (მათ შორის, უფასო) განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულები მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში ახლაც მიმდინარეობს უფასო დიაგნოზირების პროგრამა, რომელსაც, ამბულატორიული ცენტრის ხელმძღვანელთან ერთად, ზედამხედველობას მმართველი პარტიის რაიონული ორგანიზაციის

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

ხელმძღვანელი ლევან კონჯარია უწევს. მსგავსი ღონისძიებების გაგრძელებას მმართველი მარტია მომავალშიც გეგმავს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გააგრძელებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადებას. შემდეგ ანგარიშებში, მიმოხილული იქნება ასევე მარეგულირებელი, ინსტიტუციონალური და ხისტი რესურსების საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის გამოყენების ტენდენციები. ამას გარდა, ფინანსური ხარჯვის ნაწილში ყურადღებას მუნიციპალური ბიუჯეტების ხარჯვას დავუთმობთ.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge